ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2219611

ნომერი: AR1345626

თარიღი : 29.09.2015

გაცემის თარიღი : 01.10.2015

გაცნობის თარიღი : 01.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , (ნაკვეთი N 034/514) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ გვაზავა პ/ნ 62001031044
- სოხუმი ნ.ბარათაშვილის ქ. N 4 ბ. 16

ორგანიზაცია:
- შპს "ელიტა ბურჯი" კოდი: 206120437

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ მსგავსი სახით სარეკლამო აბრის მოწყობა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. სარეკლამო აბრის მოწყობა შესაძლებელია ფასადის სიბრტყეზე გამოწევის გარეშე.

– წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

– მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში უკვე დაფიქსირებულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით განიმარტოს სამსახურის მიერ №1172041 გადაწყვეტილებით შეთანხმებული აბრის თაობაზე, კერძოდ დაზუსტდეს უკვე განხორციელდა თუ არა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით შეთანხმებული აბრის განთავსება.

– „არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება“–ს ველში აიტვირთოს საპროექტო მიწის ნაკვეთის და შესაბამისად ფართის მესაკუთრის –შ.პ.ს „ევროსტილი XXI“–ს უფლებამოსილი პირის მიერ თქვენ სახელზე გაცემული მინდობილობა. ასევე შესაძლებელია აღნიშნული პიროვნება დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.